



# COVID19-ით გამოწვეულ რთულ სიტუაციაზე, უთანხმოებასა და შესაძლო დაზიანება ადრეული რეაგირება, მათი დროული მართვა და ეფექტიანი გადაწყვეტა ბიზნესისტვის

## პროექტის მიზანი:

დავების პრევენციის, მართვისა და მოგვარების სხვადასხვა პროცესების ხელმისაწვდომობა COVID19-ის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართული ბიზნესისტვის პანდემიით გამოწვეული გამოწვევების დაძლევის მიზნით.

## ვის შეუძლია პროექტით სარგებლობა?

- საქართველოში რეგისტრირებულ მენარმე სუბიექტებს
- უცხოეთში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს და ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთაც აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნესთან საქმიანი ურთიერთობა

რომელთა აზრითაც მათზე უარყოფითად იმოქმედა COVID19-ით გამოწვეულმა მდგომარეობამ, და რომელსაც:

- სურს წარმართოს მოლაპარაკება კონტრაქტთან ან დასაქმებულთან ან სახელმწიფოსთან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან თუ მათ შესაძლო ადაპტაციასთან დაკავშირებით (**მოლაპარაკების ან დისკუსიის ფასილიტაცია**);
- აქვს გაუგებრობა ან დავა და საჭიროებს მის სწრაფ, გრძელვადიან და ნაკლებ-ხარჯიან მოგვარებას მეორე მხარესთან შეთანხმებით (**მედიაცია**).

## რა საკითხებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი პროექტით სარგებლობა?

- ვალდებულებითი/კომერციული ურთიერთობებიდან გამომდინარე

## რა პროცესებია ხელმისაწვდომი?

პროექტის ბენეფიციარებს შეუძლიათ მოითხოვონ:

### ფასილიტაცია

**ფასილიტაცია** არის პროცესი, როდესაც მხარეებს მოლაპარაკების და კონსტრუქციული დისკუსიის წარმართვაში ეხმარება ფასილიტატორი.

ფასილიტატორის ჩართულობა მიზანშეწონილია, როდესაც მხარეებს შორის (ჯერ) არ არსებობს დავა ან კონფლიქტი, ე.ი. მხარეები არ არიან ურთიერთდაპირისპირებული; არამედ მხარეები ათვითცნობიერებენ სიტუაციის სირთულეს და აქედან გამომდინარე მოლაპარაკების ან დისკუსიის წარმართვის, ურთიერთობების ადაპტაციის და გამოსავლის ძიების საჭიროებას.

ამ პროცესში მესამე ნეიტრალური პირი - ფასილიტატორი - დაეხმარება მხარეებს, რომ მათ ეფექტიანად გამოიყენონ დრო და არსებული რესურსები, მათი დიალოგი იყოს კონსტრუქციული, დისკუსია კი - ნაყოფიერი და გამოსავალზე ფოკუსირებული.

### ფასილიტაციის თავისებურებები:

- პროცესი წარიმართება GIAC-ის ფასილიტაციის წესების შესაბამისად;
- მხარეთა მოლაპარაკების ან დისკუსიის შედეგი შეიძლება იყოს მხარეთა შეთანხმება, სამოქმედო გეგმა ან სხვა ბუნების ან სახელწოდების დოკუმენტი თუ გამოსავალი, რომლის მიღწევაც მხარეებს სურთ.

## მედიაცია

**მედიაცია მიმართულია დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებისკენ. მხარეებს ურთიერთშეთანხმების მიღწევაში ეხმარება მესამე ნეიტრალური პირი - მედიატორი.** დავის მედიაციისთვის გადაცემა მიზანშეწონილია როდესაც მხარეებს შორის ურთიერთობა იმგვარად არის დაძაბული, რომ ხდება პოზიციების დაპირისპირება, ადგილი აქვს ურთიერთბრალდებებს ან სამართლებრივი არგუმენტების ურთიერთ-ნაყენებას. მედიატორი დაეხმარება მხარეებს გამონახონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორივესთვის მისაღები იქნება და ხელს შეუწყობს მათ შორის არსებული დავა მოაგვარონ სწრაფად, ურთიერთშეთანხმებით.

### მედიაციის პროცესის თავისებურებები:

- ▶ პროცესი წარმართება GIAC-ის მედიაციის წესებისა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- ▶ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება (სამედიაციო მორიგება) შეიძლება დამტკიცდეს სასამართლოს მიერ და გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

### ვინ არიან ფასილიტატორები და მედიატორები?

ფასილიტატორი და მედიატორი დაინიშნება GIAC-ის ფასილიტატორთა და მედიატორთა სიიდან მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით, ან მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, GIAC-ის მიერ. სიები ხელმისაწვდომია GIAC-ის ვებ-გვერდზე - [www.giac.ge](http://www.giac.ge)

### როგორ იწყება და წარიმართება პროცესი?

მხარემ ან მხარეებმა ერთობლივად, რომლებსაც სურთ პროექტით გათვალისწინებული სუბსიდირებული ფასილიტაციის ან მედიაციის რესურსით სარგებლობა უნდა შეავსონ და წარმოადგინონ შესაბამისი განაცხადი. განაცხადის ფორმები და დეტალები ხელმისაწვდომია GIAC-ის ვებ-გვერდზე - [www.giac.ge](http://www.giac.ge)

მედიაციისა და ფასილიტაციის პროცესი წარიმართება GIAC-ის მედიაციისა და ფასილიტაციის წესების შესაბამისად, დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით. ონლაინ კომუნიკაციის ტექნოლოგიურ პლატფორმას უზრუნველყოფს GIAC-ი. ორივე პროცესზე ვრცელდება ონლაინ (დისტანციური) მედიაციისა და ფასილიტაციის პროტოკოლი.

### პროცესის ხანგრძლივობა

ფასილიტაცია ან მედიაცია შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი, რიგ შემთხვევებში კი შესაძლოა საჭირო იყოს შეხვედრების წარმართვა რამდენიმე დღის განმავლობაში. პროცესი მოქნილია და ერგება მხარეების საჭიროებას. ზოგადი ვადები კი რეგულირდება GIAC-ის ფასილიტაციის პრინციპების, მედიაციის წესებისა და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### პროექტის ხანგრძლივობა

პროექტი საპილოტე რეჟიმში იმოქმედებს 3 თვის განმავლობაში. COVID19-ით გამოწვეული გამოწვევებთან დაკავშირებული პროცესები ამ პროექტის იმოქმედებს 2020 წლის 15 ივლისამდე.

### ხარჯები

საპილოტე პროექტი მხარდაჭერილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, რომლითაც დაფინანსდება პროცესის მონაწილეთა ფასილიტაციისა და მედიაციის ხარჯების ნაწილი - კერძოდ კი 1 დღის განმავლობაში ფასილიტატორის ან მედიატორის ჰონორარი.

ამ ვადის მიღმა ფასილიტატორის ან მედიატორის ჰონორარი GIAC-ის წესებში განსაზღვრული ოდენობით ანაზღაურდება მხარეთა მიერ, მათი შეთანხმების შესაბამისად, ხოლო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში - მათ მიერ თანაბარწილად.

ამასთან, საპილოტე პროექტის ფარგლებში GIAC ათავისუფლებს ყველა განმცხადებელს მისი ადმინისტრაციული ხარჯებისგან.

პროექტის შესახებ სრული ინფორმაციისთვის იხილეთ

<http://www.giac.ge>